

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“

თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში

შექმნილი საჩივრების განმხილველი კომისია

გადაწყვეტილება #6

21 მარტი, 2019 წელი

საქმე: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ჯუმბერ ვარდმანიძე ჟურნალისტ თეონა ხარაბაძის წინააღმდეგ

კომისიის თავმჯდომარე: ნათია აფხაზავა

კომისიის წევრები: თამარ მამეიშვილი, ხათუნა ბაგრატიონი

განმცხადებელი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი - ჯუმბერ ვარდმანიძე

მოპასუხე: ჟურნალისტი - თეონა ხარაბაძე

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 15 თებერვალს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა, ჯუმბერ ვარდმანიძემ, 11 თებერვალს სატელევიზიო ეთერში - გადაცემა „მთავარში“ გასულ რეპორტაჟთან დაკავშირებით. სიუჟეტი შეეხება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნას, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა და იკვლევს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულებას. სიუჟეტი აუდიტის სამსახურის აღმოჩენილ დარღვევებს შეეხება და შეიცავს საჯარო მოხელეების კომენტარებს, მოსახლეობის გამოკითხვას, აჭარის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის შეფასებას და დასკვნაში მითითებული ობიექტების ვიზუალურ მასალას (<http://ajaratv.ge/news/ge/38491/akhalshenis-kulturis-sakhlis.html.html>).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაცია არ იყო სათანადოდ შესწავლილი და ეყრდნობოდა არასწორ ფაქტებს. კერძოდ, განმცხადებელს პრეტენზია აქვს კაპრემუმის სოციალურ სახლთან და სოფელ ჯიბინაურს სტადიონთან დაკავშირებით გასული ინფორმაციის სიზუსტეზე.

კომისიის გადაწყვეტილებით პირველი სხდომა ჩატარდა 2019 წლის 27 თებერვალს, სადაც კომისიის წევრები გაეცნენ საქმის მასალებს. მანამდე, მაუწყებელმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს, ჯუმბერ ვარდმანიძეს და ჟურნალისტს, თეონა ხარაბაძეს მიაწოდა ინფორმაცია სხდომისა და სასურველი გასაუბრების შესახებ. როგორც კომისიისთვის გახდა ცნობილი, ორივე მხარე მზად იყო შეხვედრისთვის, თუმცა, სხდომის გამართვის დღეს არ გამოცხადდა განმცხადებელი - ჯუმბერ ვარდმანიძე, სატელეფონო საუბრისას დაზუსტდა, რომ ის ვეღარ ახერხებდა მოსვლას.

შექმნილ ვითარებაში კომისიამ იხელმძღვანელა განმცხადებლის საჩივრით და სიუჟეტის ავტორის - თეონა ხარაბაძის ინტერვიუთი. ასევე, 28 თებერვალს დაინიშნა გასვლითი ვიზიტი განცხადებაში აღნიშნული ჯიბინაურის სტადიონის ადგილმდებარეობის გადასამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

განცხადებაში სარჩელის ავტორი, ჯუმბერ ვარდმანიძე აღნიშნავს, რომ სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაცია არ იყო სათანადოდ შესწავლილი და ეყრდნობა არასწორ ფაქტებს. კერძოდ, განმცხადებელს პრეტენზია აქვს ორი მიმართულებით:

პირველი:

კაპრეშუმის სოციალური სახლი: სიუჟეტის ერთი ნაწილი შეეხება კაპრეშუმის სოციალურ სახლს და იქ არსებულ საკანალიზაციო პრობლემას.

ხელვაჩაურის მერი, ჯუმბერ ვარდმანიძე თავის საჩივარში წერს, რომ კაპრეშუმის სოციალური სახლი არის იქ მაცხოვრებელთა საკუთრება, იქ საკანალიზაციო პრობლემა არ არის და ამასთან, შენობა აუდიტის ზემოთ აღნიშნულ ანგარიშშიც არ არის შესული. ჟურნალისტს კი ამ საკითხზე საუბრით შეცდომაში შეყავს აუდიტორია.

სიუჟეტში ჟურნალისტი ცდილობს, აღნიშნულ სახლზე ინფორმაცია ხელვაჩაურის მერისგან მიიღოს. სიუჟეტში მოცემულია ინტერვიუს მონაკვეთი, კამათი ჟურნალისტსა და ხელვაჩაურის მერს შორის, სადაც ჯუმბერ ვარდმანიძე ამბობს ციტატას: “დასკვნაში წერია საყოფაცხოვრებო და არა სოციალური სახლი. ეს სხვადასხვა მიდგომაა, ეს სხვადასხვა პრინციპია”. მიუხედავად ამისა, მაყურებლისთვის ბუნდოვანი რჩება რაზეა საუბარი, რას ნიშნავს სოციალური სახლი და რას საყოფაცხოვრებო სახლი. მაყურებლისთვის ისიც არ არის ნათელი, რომ სოციალური სახლი 2018 წლის აუდიტის დასკვნაში, რომელსაც სიუჟეტი შეეხება, არ არის ნახსენები. ამას მკაფიოდ ჟურნალისტი თავის ტექსტშიც არ ამბობს.

განმარტებაში კი, რომელიც ჟურნალისტმა თეონა ხარაბაძემ კომისიას მიაწოდა, წერია, რომ მან მართალია იცოდა, რომ სოციალური სახლი არ ხვდება აუდიტის დასკვნაში, მაგრამ რაკი იქ პრობლემა არსებობდა, მაინც გადაწყვიტა ხელვაჩაურის მერის კომენტარი ამ თემაზეც ჩაეწერა.

კომისია მიიჩნევს, რომ რაკი ჟურნალისტი სიუჟეტს 2018 წლის აუდიტის ანგარიშზე ამზადებდა, მას შეეძლო სოციალური სახლის საკითხი ამ თემიდან გამოეყო და მასზე დამოუკიდებელ მასალაში ემუშავა. ამასთან, სიუჟეტიდან სრულყოფილად ვერ ვიგებთ, რამდენად არსებობს კანალიზაციის პრობლემა კაპრეშუმის სოციალურ სახლში, ჟურნალისტს მხოლოდ ერთი მაცხოვრებლის მოკლე კომენტარი აქვს მოყვანილი, რომელიც ბოლომდე ვერ ასაბუთებს პრობლემის არსებობას. ამიტომ, სასურველი იქნებოდა სიუჟეტის ავტორს ამ პრობლემის შესახებ ცალკე ემუშავა, თემა მეტად განევრცო და მეტი წყარო მოეძებნა. ან მინიმუმ, სიუჟეტში ის მაინც აღენიშნა მკაფიოდ, რომ სოციალური სახლი არ არის აუდიტის 2018 წლის ანგარიშში შესული, რომელსაც ეძღვნებოდა მისი სიუჟეტი.

მეორე:

სოფელ ჯიბინაურს სტადიონი: საჩივრის ავტორი, ხელვაჩაურის მერი, ჯუმბერ ვარდმანიძე თავის საჩივარში წერს, რომ სიუჟეტში ნაჩვენები კადრები არ არის სოფელ ჯიბინაურის სტადიონი და არ ასახავს აუდიტის დასკვნაში მოხსენიებულ ფაქტებს. მას იგივე პრეტენზია აქვს 13 თებერვალს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ფეისბუკ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზეც, სადაც გამოყენებულია 11 თებერვლის სიუჟეტის კადრები და მერის კომენტარი სტადიონთან დაკავშირებით.

თვითრეგულირების კომისიამ მიიღო განმარტებები ჟურნალისტისგან, თუ როგორ დაადგინა სტადიონის ადგილმდებარეობა, ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნია ადგილზე გასვლით გადაემოწმებინა ორივე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

კომისიის წევრის ნათია აფხაზავას და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლის მიერ მოხდა გასვლითი ვიზიტი სოფელ ჯიბინაურში: პირველ რიგში ჟურნალისტის მიერ გამოყენებული გზით - მოქალაქეების დახმარებით სტადიონის ადგილმდებარეობის დადგენა, რის შედეგადაც აღმოვჩნდით სიუჟეტში ასახული სტადიონის წინ, სადაც არანაირი კეთილმოწყობითი სამუშაოები არ იყო შესრულებული. მეორე შემთხვევაში კომისიამ იხელმძღვანელა აუდიტის დასკვნით, სადაც საუბარი იყო ფართობის შემცირებაზე და ვადის გაგრძელებაზე. აშკარა იყო რომ დასკვნაში სხვა სტადიონზე იყო საუბარი.

საპროექტო ხელშეკრულებები

კრიტერიუმები: მოქმედი რეგულაციებით²⁸, შესყიდვის პროცესის ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ თავიდან იქნეს აცილებული შემსყიდველის მიერ უზარისხრო ან/და დაბალი ხარისხის საპროექტო სამუშაოების ან/და საინჟინრო მომსახურების მიღება. საპროექტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების თანახმად, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის საპროექტო განყოფილება, რომელსაც ევალება გაწეული და/ან გასაწევი მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

გამოვლენილი გარემოება N1: ხელვაჩაურსა და სოფელ ჯიბინაურში მინისპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ტენდერში კონკურენციის პირობებში გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება²⁹. ღირებულებით – 43,773 ლარი, კომპანიამ მერის მიზართა წერილით, სადაც სთხოვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას და პროექტში ცვლილების შეტანას. მიზეზად კი უთითებს, რომ გათვალისწინებული მინიმუმედნის მოწყობა, პროექტით მითითებულ ტერიტორიაზე ვერ ხერხდება, რადგან „მინისტადიონის ადგილზე აღმოჩნდა სამანქანე ტუბა“ და ასევე მოედანი არ ეტევა აღნიშნულ ტერიტორიაზე. პროექტში ხელშეკრულების ღირებულების შეუცვლელად შევიდა ცვლილებები კერძოდ: მინი- მოედნის ზომები შეზღუდა: ნაძვლად 24,5 X 13,5 მეტრისა – 11,60 X 21,60 მეტრი და შეივსალა სამუშაოთა მოცულობები, სამშენებლო სამუშაოების ვადა ასევე ათი კალენდარული დღით გაიზარდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის დახმარებით დადგინდა აუდიტის დასკვნაში ასახული სტადიონი, რომელიც ასევე ემთხვევა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ფოტომასალას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სტადიონი მდებარეობს სოფელ ჯიბინაურის და მეზობელი სოფლის გასაყარზე და ადგილობრივების მიერ არ მოიხსენიება როგორც სოფელი ჯიბინაურის სტადიონი.

სიუჟეტის ავტორმა სტადიონის მდებარეობის დადგენისას იხელმძღვანელა სამი ადგილობრივისგან მიღებული ინფორმაციით, შემდეგ კი ინფორმაციის გადამოწმება ხელვაჩაურის მერთან სცადა. სიუჟეტითა და შავი მასალით ნათელია, რომ ხელვაჩაურის მერთან კომუნიკაციისას ჟურნალისტი თავდაცვით რეჟიმში იყო, რამაც, შესაძლოა, შეაფერხა ფაქტების გადამოწმება. ამის შემდეგ მნიშვნელოვანი იყო, ჟურნალისტს ალტერნატიული წყაროები ეპოვა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტს გასაუბრება ჰქონდა სამ სხვადასხვა მოქალაქესთან, ისინი მაინც ერთი ტიპის წყაროდ ითვლებიან. ინფორმაციის გადამოწმებისთვის მეტად ეფექტური იქნებოდა ეს საკითხი განსხვავებულ წყაროებთან გადამოწმებულიყო (მაგალითად, აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, სოფლის რწმუნებული/წარმომადგენელი).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სიუჟეტის ეთერში გასვლისას, 11 თებერვალს, მთავარი საინფორმაციო გამოშვების სტუდიის სტუმარი იყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ზვიად ხალვაში, რომელსაც შეეძლო აღნიშნული უზუსტობისა და მუნიციპალიტეტის მხრიდან არსებული პრეტენზიების შესახებ ეთერშივე აღენიშნა. ეს ჟურნალისტს მისცემდა საშუალებას შეესწორებინა დაშვებული შეცდომა.

მიუხედავად ამ გარემოებებისა, კომისია მიიჩნევს, რომ სიუჟეტში სხვა სტადიონის ჩვენებით მაინც დაირღვა ფაქტის სიზუსტის პრინციპი, თუმცა, ეს არ ყოფილა წინასწარ განზრახული.

მესამე :

რაც შეეხება სოციალურ ქსელში, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, სადაც გამოყენებულია 11 თებერვლის სიუჟეტის კადრები და მერის კომენტარი სტადიონთან დაკავშირებით (<https://www.facebook.com/watch/?v=2356170374615454>).

ამ საკითხზე განმარტება კომისიამ მაუწყებლის ონლაინ სამსახურის ხელმძღვანელს, სოფო ჟღენტს სთხოვა. მისი თქმით, მაუწყებლის სოციალური სამსახური ეყენობა იმ მასალებს, რომელიც გავიდა ეთერში: “ვეყრდნობით ფაქტებს, რაც ჯერ მოიპოვა ჟურნალისტმა (ჩვენი მოლოდინით ყველა სტანდარტის დაცვით), გაიარა პროდიუსერის ხელში და გავიდა ეთერში. შესაბამისად, ამ შემთხვევაში დამოუკიდებლად მასალა მაუწყებლის ვებგვერდს არ მოუმზადებია, ამის რესურსი ფიზიკურად არ გვაქვს.. კადრებთან ერთად გამოვიყენეთ ის კომენტარი, რაც უკვე იყო გასული ეთერში”.

საჩივრის ავტორი, ჯუმბერ ვარდმანიძე თავის ტექსტში იმასაც აღნიშნავს, რომ სოციალურ ქსელში გასული მასალა “შეფუთული იყო დამცინავი, ზედმეტად ცინიკური ნარატივით, რაც აშკარად ჩემი დისკრიმინაციისკენ არის მიმართული”. ამასთან დაკავშირებით მაუწყებლის ონლაინ სამსახურის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ მედია დამოუკიდებელია ფორმების შერჩევას: “ეს გამოხატვის ფორმაა, რომელსაც ჩვენც და ბევრი მედიასაშუალება იყენებს სოციალურ ქსელში საქმიანობისას”. იგი არ ეთანხმება ბრალდებას დისკრიმინაციის შესახებ და პასუხისმგებლობას მხოლოდ ინფორმაციის სიზუსტის ნაწილში იზიარებს, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ დებულებით, სატელევიზიო ეთერში გასული მასალების გადამოწმება და რედაქტირება არ შედის ონლაინ სამსახურის ფუნქციებში.

კომისია გაეცნო ონლაინ მედიის სამსახურის დებულებას, სადაც, სამსახურის ძირითადი ფუნქციების ნაწილში, დ-პუნქტში წერია, რომ “სოციალურ ქსელებში მაუწყებლის პოზიციონირება, სამივე პლატფორმაზე (ვებ-საიტი, ტელევიზია, რადიო) მომზადებული მასალების, გადაცემების განთავსება, რეკლამირება, ონლაინ მომხმარებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა” არის ონლაინ სამსახურის ფუნქცია.

ამ ნაწილში კომისია მიიჩნევს, რომ სოციალურ ქსელში მასალის განთავსებისას დაირღვა სიზუსტის პრინციპი, რაც გამომდინარეობს იქედან, რომ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე განთავსებული ვიდეო ეყრდნობოდა საინფორმაციო გამოშვებაში გასულ სიუჟეტს. კომისია არ იზიარებს სარჩელის ავტორის ბრალდებას დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილი კომისია მიიჩნევს, რომ ჟურნალისტმა თეონა ხარაბაძემ 11 თებერვალს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის აუდიტის დასკვნაზე მომზადებულ სიუჟეტში, სოფელ ჯიბინაურის სტადიონთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელებისას დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის პირველი (“მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის წყაროს და ფაქტების სიზუსტე”) და მეორე (“მაუწყებელი ვალდებულია, მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუმვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება”) პუნქტები. მართალია, ჟურნალისტს განზრახ არ შეუყვანია აუდიტორია შეცდომაში, თუმცა, არ გამოუყენებია ყველა საშუალება ინფორმაციის სიზუსტის დასადგენად.

იგივე პრინციპები დაირღვა მაუწყებლის ოფიციალურ ფეისბუკ გვერდზე ვიდეოს გავრცელებითაც, რომელიც სატელევიზიო ეთერში გასულ სიუჟეტს დაეყრდნო.

კომისია არ იზიარებს სარჩელის ავტორის მოსაზრებას დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიიჩნევს, რომ სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია არ შეიცავდა დისკრიმინაციულ ელემენტებს. ვიდეო მასალაში გასული ფაქტები ეყრდნობოდა სატელევიზიო სიუჟეტს და განსხვავებული ფორმით იყო მოწოდებული.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, კომისია მიიჩნევს, რომ, რაკი დადგინდა სიზუსტის პრინციპის დარღვევა სოფელ ჯიბინაურის სტადიონთან დაკავშირებით, როგორც სატელევიზიო სიუჟეტში, ასევე სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოში, მნიშვნელოვანია, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად („მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების შესწორება უნდა მოხდეს ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომადი საშუალებებით და ფორმებით სათანადო საეთერო დროს, მას შემდეგ რაც მაუწყებელითვის ცნობილი გახდება შეცდომის შესახებ“), სათანადო ფორმით მოხდეს დაშვებული უზუსტობის შესწორება, როგორც სატელევიზიო ეთერში, ასევე, სოციალურ ქსელში, მაუწყებლის ოფიციალურ ფეისბუკ გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარე:

ნათია აფხაზავა, ხელმოწერილია

კომისიის წევრები:

თამარ მამეიშვილი, ხელმოწერილია

ხათუნა ბაგრატიონი, ხელმოწერილია